ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება. ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს. გაითვალისწინეთ, ტესტის II ნაწილში მოცემულია ორი ტექსტი. უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი მათგანი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულოთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტიკური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

(16 ქულა) 1.

„მწერალთა სახლის“ შენობა, რომელიც მაჩაბლის ქუჩაზე დგას ეკუთვნოდა დავით სარაჯიშვილს ცნობილ ქართველ მეწარმესა და მეცენატს. ეს ნაგებობა 1903-1905 წლებშია აშენებული. პროექტის ავტორია გერმანელი არქიტექტორი კარლ ცაარი ვინც სარაჯიშვილმა ბერლინიდან მოიწვია.

ეს ულამაზესი შენობა მე-XX საუკუნის დასაწყისში ევროპაში გავრცელებული მოდერნის სტილით არის აგებული. მისი ფასადი შემკულია ნაძერწი ნიჟარებითა და მცენარეული ორნამენტებით. სახლის ვერანდა მოპირკეთებულია ცნობილი კომპანიის – „ვილეროი და ბოხის“ – კერამიკული ფილებით რომელსაც ევროპაში მხოლოდ სპეციალური შეკვეთით ამზადებდენ.

„მწერალთა სახლის“ დარბაზები მნახველებს ხიბლავს მოხატული ჭერით, ულამაზესი ჭაღებითა და რამდენიმე ორიგინალური ბუხარით. განსაკუთრებული მხატვრულობით გამოირჩევა ინტერიერის ხის მორთულობა რომელიც შეუქმნია თბილისელ ოსტატ ილია მამაცაშვილს. ეზოს მხრიდან სახლს თბილისური კოხტა აივნები ამშვენებს. ხელოვნებათმცოდნეთა აზრით ეს ნაგებობა ქართული და ევროპული არქიტექტურის შერწყმის საუკეთესო ნიმუშია.

თავის მშვენიერ სახლში სარაჯიშვილი ხშირათ აწყობდა არისტოკრატთა და ხელოვანთა შეკრებებს, გამოფენებს, კონცერტებს, რომელთაც ტრადიციული ქართული ნადიმი მოყვებოდა ხოლმე. წლების განმავლობაში ეს სახლი ქართული კულტურის ყველაზე უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო.

II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი ტექსტიდან ერთ-ერთი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულეთ!

ტექსტი I

ყურადღებით წაიკითხეთ მურმან ლებანიძის ლექსი „ვოი!“, რომელიც მწვერვალ შხარაზე დაღუპულ ფოტოხელოვანსა და მთამსვლელს, გურამ თიკანაძეს, ეძღვნება:

ვოი!
რა უფერულია სიკვდილი ლოგინში!
ვოი, რა საშინელია სიკვდილი ლოგინში!
ისიც ლოგინში მომკვდარა, ოღონდ –
ყინულის ლოგინში!..

ვოი, კალა-უშგული შეკრებილა –
ყანას და სათიბს მომცდარა.
მთელი სვანეთი შეკრებილა,
მთლად საქართველო შეკრებილა,
შხარასთან ღრუბელივით მომდგარა...
ვოი, შხარა სისხლით შეღებილა –
კოხტა თიკანაძე მომკვდარა...

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ბექნუ ხერგიანს[1] და ბექნუს ლომებს
გურამის ნეშტი უპყრიათ ხელში,
ბექნუ ხერგიანს და ბექნუს ლომებს
მშრალი ბურთები გასჩრიათ ყელში.

გურამ თიკანაძეს შხარა აუღია,
რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა:
საკუთარ ხელით პალო დაუგია,
საკუთარ პალოზე მომწყდარა...

ცოცხლისგან საყვედური აუგია –
თოკი ერთადერთი ჩაუბია –
თავი სიმამაცით წაუგია,
ვოი-ვო, სიმამაცით მომკვდარა!..

ბექნუ ხერგიანს და ბექნუს ლომებს
გურამის ნეშტი უპყრიათ ხელში,
ბექნუ ხერგიანს და ბექნუს ლომებს
მშრალი ბურთები გასჩრიათ ყელში...

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

[1] **ბექნუ ხერგიანი** – გამოჩენილი ქართველი მთამსვლელი.

„ხოჩა[2] საკაცე გამითალეთ,
დავაწყო ხორცი და ძვალი,
სიკვდილი სიცოცხლედ ჩამითვალეთ,
აღმართში კვნესით ამიტანეთ,
ვაკეზე მითხარით ზარი!..“

უშგულში გამოვარდა ივდითი ნიჟარაძე,
შეჰკივლა, გაიკაწრა ლოყა;
ფოსტლების ფლატუნით უხნესი დიაცი
საკაცეს ფეხდაფეხ მოჰყვა:
„თეთნულდმა რა მოგცა? უშბაზე რა გქონდა?
შხარაზე რა გინდოდა, გმირო?!
ვო, გურამ, რამხელა ბეჭები დაგქონდა –
რამ დაგაპატარავა, შვილო?!“

ასი ცხენოსნით უშგული გახლავს
და ბეჭზე მიდევს შენი საკაცე...

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

[2] **ხოჩა** – კარგი (სვანურად).

შენ დაგეუფლა ძილი და დაღლა,
შენ დასახარჯი უკვე დახარჯე...
შენ გაიელვე ღრუბლებზე მაღლა,
შენ საქართველოს ღამე გახაზე...
ასი ცხენოსნით უშგული გახლავს
და მიტივტივებს შენი საკაცე...

ვოი! რა უფერულია სიკვდილი ლოგინში!
ვოი, რა საშინელია სიკვდილი ლოგინში!
ისიც ლოგინში მომკვდარა, ოღონდ –
ყინულის ლოგინში...

გურამ თიკანაძეს შხარა აუღია,
რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა:
თავი სიმამაცით წაუგია,
ვოი-ვო გურამი მომკვდარა...
ცოცხლისგან საყვედური აუგია,
ჩაუქი მკვდარიც ჩაუქია –
ვარსკვლავი ვარსკვლავებს მომწყდარა.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. რას გამოხატავს ლექსის სათაური?

ა) გლოვას.
ბ) რისხვას.
გ) საფრთხეს.
დ) შიშს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხმე გვერდზე

(1) 3. რის თქმა სურს ავტორს სიტყვებით: *„მთლად საქართველო შეკრებილა“*?

ა) მომხდარი ყველას დაუჯერებლად ეჩვენებოდა.

ბ) უბედურებამ დიდი და პატარა გააერთიანა.

გ) ქვეყანაში უიმედობამ და შიშმა დაისადგურა.

დ) ხალხში გაურკვევლობა მძაფრად იგრძნობოდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 4. რა თვისების გამომხატველია სიტყვა *ლომები* მოცემულ მონაკვეთში:

„ბექნუ ხერგიანს და ბექნუს ლომებს
გურამის ნეშტი უპყრიათ ხელში...“?

ა) სიდინჯის.
ბ) სიკეთის.
გ) სიფიცხის.
დ) სიძლიერის.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 5. რომელ მონაკვეთშია გამოყენებული შედარება?

ა) „გურამ თიკანაძეს შხარა აუღია, / რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა“.
ბ) „ვოი, შხარა სისხლით შეღებილა – / კოხტა თიკანაძე მომკვდარა...“
გ) „ისიც ლოგინში მომკვდარა, ოღონდ – / ყინულის ლოგინში!..“
დ) „მთელი სვანეთი შეკრებილა... / შხარასთან ღრუბელივით მომდგარა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 6. რა არის ამ სტროფის მთავარი სათქმელი?

„ხოჩა საკაცე გამითალეთ,
დავაწყო ხორცი და ძვალი,
სიკვდილი სიცოცხლედ ჩამითვალეთ,
აღმართში კვნესით ამიტანეთ,
ვაკეზე მითხარით ზარი!..“

ა) გურამს სვანეთი თავის ჭირისუფლად ეგულებოდა.
ბ) გურამს სვანეთში ყველა მწვერვალის დალაშქვრა სურდა.
გ) გურამს სვანური სიმღერები გამორჩეულად უყვარდა.
დ) გურამს მთელი ცხოვრების სვანეთში გატარება უნდოდა.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე](#)

(1) 7. რა აზრს გამოხატავს სიტყვები: *„თოკი ერთადერთი ჩაუბია“*?

ა) გაუბედაობა გამოუჩენია.
ბ) გაუფრთხილებლად მოქცეულა.
გ) მოხერხებულად მოქცეულა.
დ) წინდახედულობა გამოუჩენია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 8. ივდით ნიჟარაძის რა განცდა ჩანს სიტყვებში:

„თეთნულდმა რა მოგცა? უშბაზე რა გქონდა?
შხარაზე რა გინდოდა, გმირო?!
ვო, გურამ, რამხელა ბეჭები დაგქონდა –
რამ დაგაპატარავა, შვილო?!“

ა) აღტაცება, რომ გურამმა მთებს მიუძღვნა სიცოცხლე.
ბ) სიამაყე, რომ გურამი გმირულად შეხვდა სიკვდილს.
გ) სინანული, რომ გურამს უშბა დარჩა დაულაშქრავი.
დ) ტკივილი, რომ გურამი ასე ტრაგიკულად დაიღუპა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 9. გურამ თიკანაძის რა თვისებას გამოხატავს სიტყვა *ჩაუქი* ?

ა) გონიერებას.
ბ) კეთილშობილებას.
გ) სიმარდეს.
დ) სიმტკიცეს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 10. რომელ ფრაზაშია გამოყენებული მეტაფორა?

ა) „აღმართში კვნესით ამიტანეთ“.
ბ) „ვარსკვლავი ვარსკვლავებს მომწყდარა“.
გ) „საკუთარ ხელით პალო დაუგია...“
დ) „ცოცხლისგან საყვედური აუგია“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 11. რომელ ფრაზაში ჩანს, რომ გურამ თიკანაძემ წარუშლელი კვალი დატოვა?

ა) „ასი ცხენოსნით უშგული გახლავს / და ბეჭზე მიდევს შენი საკაცე...“
ბ) „ვოი, კალა-უშგული შეკრებილა – / ყანას და სათიბს მომცდარა“.
გ) „თავი სიმამაცით წაუგია, / ვოი-ვო, სიმამაცით მომკვდარა!..“
დ) „შენ გაიელვე ღრუბლებზე მაღლა, / შენ საქართველოს ღამე გახაზე“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. მწვერვალებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა მხოლოდ სულიერად მონათესავე ადამიანებისათვისაა გასაგები.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

ტექსტი II

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი მიხეილ ჯავახიშვილის რომანიდან „ჯაყოს ხიზნები“:

მარგო სწორედ ისე იყო მორთული, როგორც ათი წლის წინათ, როცა ჯაყოს მაგივრად თეიმურაზს ედგა გვერდით. თეიმურაზს უმალ დაავიწყდა ძველი ამბავიც და დაკარგული განძეულობაც. ეხლა მისი თვალიც, სმენაც და აზრიც მარგომ მიიზიდა, მიიჯაჭვა და ჩაიწურა. ხარბად შესცქერის თეიმურაზი თავის ნაცოლარს და უნებურად ადარებს იმდროინდელ მარგოს, როცა ახალგაზრდა ქალი, ათი წლის წინათ, ფერმკრთალი და აგზნებული, წელ-წვრილი და ხმელ-ხმელი, პირველად შესდგა გვირგვინის ქვეშ. აგონდება ხევისთავს შორეული წარსული და გულში ნაადრევ სიბერის ჟრჟოლას გრძნობს.

მარგომ ხალხს ქურდულად გადაავლო თვალი და ერთის წამით თვალი თვალში გაუყარა თეიმურაზს, რომელიც ისე შეჰყურებს ნაცოლარს, როგორც დაჭრილი შველი შესცქერის მოღერებულ ხანჯალს: შიშით, უიმედოდ და სასოწარკვეთილი მუდარით. მარგო ჯერ ოდნავ შეჰკრთა, მერმე შუბლი შეიკრა, წარბები აიკრიფა და ტუჩებზე თითქო ტანჯვა და ზიზღი აისახა. თეიმურაზმა ვერ გაარჩია, ვერ წაიკითხა მარგოს პირსახეზე ანასახის ნამდვილი აზრი და გულისთქმა, მაგრამ მას ის დანაწერი უფრო ზიზღად და სიძულვილად მოეჩვენა, ვიდრე სინანულად და სიბრალულად.

– რა მაქვს საზიზღო? რად ამიძულა მარგომ? – ერთხელ კიდევ ჰკითხა თეიმურაზმა თავის თავს.

– იმიტომ შეგიძულა და შეგიზიზღა, – მიუგო უჩინარმა ორეულმა, – რომ წარმავალი ხარ, საბრალო, სუსტი და მომაკვდავი: იმიტომ შეგიზიზღა, რომ ბრძოლა წააგე; იმიტომ, რომ უბრძოლველად დაუთმე შენი ცოლი და პატიოსნება აგერ იმ პირუტყვს, ახმახს, ველურ ჯაყოს.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

შენც მარგოს მზითვად მისდევ და ჯაყოს ყმად უდგები, ისიც მხოლოდ იმისთვის, რომ ათასში ერთხელ შენს მარგოს გოშია ძაღლივით შეხედო. ვის? მარგოს! შენს მარგოს, რომელმაც...

– ოოოჰ, დიდებულო ღმერთო!

და თეიმურაზმა ისე მძლავრად ამოიოხრა, რომ გვერდით მდგომმა გლეხებმა გაოცებით გადმოჰხედეს.

– ცოტაოდენი პატივი მაინც დასდე შენს თავს, სახელსა და წარსულს, – ბრაზით ჰკორტნის თეიმურაზის გულს. – ნუ იბრმავებ თვალებს. თავს ნუ იტყუებ, ნურც მარგოს ამართლებ. მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ცოლმა გიღალატა.

– ო-ო-ო-ჰ! – ერთხელ კიდევ ამოიკვნესა თეიმურაზმა და მისი კვნესა მთელს ეკლესიას მოედო. აქეთ-იქიდან ნაქმარევ თეიმურაზს ისევ სიბრალულით გადმოჰხედეს.

– საწყალი! – წაიჩურჩულა თეიმურაზის გვერდით ერთმა დედაკაცმა და იმანაც ამოიოხრა.

ორეული არ სცხრება:

– ღალატს თავი დავანებოთ: მარგოს ეზიზღები.

– ვაიმე! – ხმამაღლა დაიკვნესა თეიმურაზმა და ორივე ხელი გულზე მიიკრა, რომელიც ამოვარდნას ჰლამობდა.

– ეკლესიაში ჩურჩული ასტყდა. თეიმურაზს ხალხი შემოეხვია, მაგრამ ხევისთავი ყურს არ უგდებს და ვერც ჰხედავს.

– ეზიზღები, რადგან ქალაჩუნა ხარ! – ჩაჰკივის ორადი.

– მართალია! – ხმამაღლა ეთანხმება თეიმურაზი.

– არ მესმის, რა დაგემართა? – განაგრძობს ორეული. – შენი წინაპარნი რკინას სჭამდნენ, დათვებს ხანჯლით ჰხოცავდნენ და ყინულზე იძინებდნენ. წინ დაიხედე, ისე სდგეხარ შენი მამის საფლავზე, როგორც წიწილა დევის მკერდზე. საგულეს გულის მაგივრად დამპალი ძონძი ჩაგიგდია, სასულეს სულის ნაცვლად სიმყრალე დაგიგუბებია, ხოლო ძარღვებში ცხელი სისხლის მაგივრად ჭაობის დუბალა ჩაგისხამს, ისე დაკნინდი და დაილიე, რომ ვაჟკაცობისა აღარაფერი გცხია.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

– ეგეც მართალია! – ხმამაღლა უდასტურებს თეიმურაზი.
– მაშ ახი ყოფილა შენზე, რომ ასე გაგსრისეს და გაგათრიეს.
– ახია, ახი! – ისევ ხმამაღლა ეთანხმება თეიმურაზი.
– მაშ დაანებე თავი შენს მარგოს და დაიწყე ახალი ცხოვრება.
– ღმერთო, მიშველე!
– თეიმურაზ! – ჩასჩურჩულებს ყურში ივანე აბოდებულ ხევისთავს. მაგრამ თეიმურაზს ივანესთვის არა სცალიან.
– დაიწყე ბრძოლა, გაიკაფე საკუთარი გზა და დასდექ საკუთარ ფეხზე!
ეგრე... ეგრე... მართალია, მართალია! – თანახმაა ხევისთავი.
მაგრამ თავდაპირველად დღესვე უნდა წახვიდე აქედან და სამუდამოდ დაივიწყო მარგო.
ვაიმე, დედა! – ვერ უძლებს თეიმურაზი.
თეიმურაზ, რა დაგემართა? – ეკითხება ივანე.
ეხლავე გადი ეკლესიიდან! – უბრძანებს თეიმურაზს ორეული.
– ცოტას კიდევ მოვიცდი... მერმე, მერმე გავალ, – ეუბნება ორეულს ნაკაცარი და გამძვინებულ სულს ორეულის ტყვეობიდან ვერ ითავისუფლებს. თეიმურაზი მაინც ვერავის ჰხედავს, არც ვისიმე ლაპარაკი ესმის, ცალის ხელით სათვალეებს ისწორებს, მეორე ხელს ცხვირწინ იქნევს და ცხარედ ებრძვის ჟინიან ორეულს.
– ხა-ხა! საკუთარ პანაშვიდს დავესწარი! ჩემივე თავის დასაფლავება ვნახე! ხა-ხა-ხა! – ჩაიხითხითა თეიმურაზმა.
თეიმურაზმაც იცის, რომ ეკლესიაში პანაშვიდი კი არ არის, არამედ ჯვრისწერაა, ქორწილია. ისიც იცის თეიმურაზმა, რომ ჯაყო ჯივაშვილი ჯვარს იწერს მარგო ხევისთავზე... მარგარიტა ყაფლანიშვილის ასულზე! იცის, იცის! მაგრამ ისიც მართალია, რომ ეს ქორწილი თეიმურაზის პანაშვიდია... დიაღ! პანაშვიდია... დიაღ! პანაშვიდია, პანაშვიდი!

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

მაგრამ თეიმურაზი ჯერ არ მომკვდარა! არც მოკვდება ასე ადვილად! დიაღ, არ მოკვდება მეთქი!
თუმცა... რაო? იქ ვინა სთქვა – „საწყალიო“?! აქეთ ვინ წამოიძახა – „უბედურიო“?!..

ტვინში ცივი გრიგალი აუვარდა. თვალები გაუთეთრდა და გადმოუბრუნდა. ტუჩები აუტოკდა და აუცახცახდა. პირსახეზე ზაფრანამ გადაჰკრა. თავი გვერდით გადმოიგდო. თითქო კისრის ძარღვები დაუწყდა და ხელები გაასავსავა, მუხლები მოიკეცა და ეკლესიის კარებში ცარიელ ტომარასავით ჩაიჩოქა და გაიშალა.

და ეკლესიიდანაც, იმავე წამს, ერთმანეთში უცნაურად არეულმა დედაკაცის კივილმა, ქვითინმა და კისკისმა გამოჰხეთქა.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. რა დაანახვა თეიმურაზს ჯვრისწერამ?

ა) რომ მარგო საბოლოოდ დაკარგა.
ბ) რომ რეალობას არ უნდა შეჰგუებოდა.
გ) რომ ჯაყოს უნდა დაპირისპირებოდა.
დ) რომ განძის დაბრუნება შეეძლო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 3. რატომ ჰგონია თეიმურაზს, რომ მარგო სიძულვილით უყურებს?

ა) რადგან მან მარგოს გვარიშვილობა ვერ დააფასა.
ბ) რადგან ის მარგოს წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობს.
გ) რადგან მას მარგოს სიხარულის გაზიარება უჭირს.
დ) რადგან მას მარგოს ბედნიერება შეუძლებლად მიაჩნია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 4. რა არის *„უჩინარი ორეული“*?

ა) უხილავი საფრთხე.
ბ) წინაპრის აჩრდილი.
გ) ყალბი თანაგრძნობა.
დ) შინაგანი ხმა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 5. რის გამო უსაყვედურებს ორეული თეიმურაზს?

ა) სისასტიკის გამო.
ბ) სიჯიუტის გამო.
გ) სიფიცხის გამო.
დ) სიმხდალის გამო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 6. რა მხატვრული საშუალებაა: *„ტვინში ცივი გრიგალი აუვარდა“*?

ა) მეტაფორა.

ბ) გაპიროვნება.

გ) შედარება.

დ) ალუზია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 7. **რა ჩანს ფრაზაში:** *„თეიმურაზი ჯერ არ მომკვდარა! არც მოკვდება ასე ადვილად!“*?

ა) იგი ბედს უკვე შეურიგდა.
ბ) იგი დანებებას არ აპირებს.
გ) მას მომავალი არ აშინებს.
დ) მას სოფლის იმედი აქვს.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე]

(1) 8. რის თქმა სურს ავტორს სიტყვებით: *„შენი წინაპარნი რკინას სჭამდნენ“*?

ა) უხეში ადამიანები იყვნენ.
ბ) სიღარიბეში ცხოვრობდნენ.
გ) ფიზიკურად შრომობდნენ.
დ) ძალიან ძლიერები იყვნენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 9. რომელ ფრაზაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?

ა) „თეიმურაზი მაინც ვერავის ჰხედავს, არც ვისიმე ლაპარაკი ესმის, ცალის ხელით სათვალეებს ისწორებს“.

ბ) „თეიმურაზმა ისე მძლავრად ამოიოხრა, რომ გვერდით მდგომმა გლეხებმა გაოცებით გადმოჰხედეს“.

გ) „თეიმურაზი ისე შეჰყურებს ნაცოლარს, როგორც დაჭრილი შველი შეჰყურებს მოღერებულ ხანჯალს“.

დ) „მარგო ისე იყო მორთული, როგორც ათი წლის წინათ, როცა ჯაყოს მაგივრად თეიმურაზს ედგა გვერდით“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 10. რატომ მიაჩნია თეიმურაზს, რომ ეს ქორწილი მისი პანაშვიდია?

ა) მარგო ასეთი ბედნიერი მასთან არასოდეს ყოფილა.
ბ) ღირსება შეელახა და პიროვნულად განადგურდა.
გ) თავისი მემკვიდრეობის დაბრუნების იმედი დაკარგა.
დ) სოფლის დატოვება და ქალაქში გადახვეწა მოუწევს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 11. როგორია თანასოფლელთა დამოკიდებულება თეიმურაზის მიმართ?

ა) ამხნევებენ და ეხმარებიან.
ბ) დასცინიან და ამცირებენ.
გ) ეზიზღებათ და უპირისპირდებიან.
დ) ებრალებათ და თანაუგრძნობენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. ადამიანისათვის ყველაზე დიდი ტრაგედია საკუთარ თავთან დამარცხებაა.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.